ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა;
2. კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები. კვალიფიკაციის მინიჭებისთვის დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისება ხდება კოლეჯში და წარმოებაში სასწავლო გეგმის შესაბამისად;
4. პროფესიული სტუდენტი კოლეჯში ეუფლება თეორიულ ცოდნას და გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარებს;
5. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ დაესწრება მოდულის შემადგენელი საერთო საათების 1/3-ზემეტს, არ მიეცემა ნება, არანაკლებ გაცდენილი საათების 50%-ის აღდგენის გარეშე, დაიდასტუროს მოდულის გავლა.
6. პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; მოქნილობას; სიმარტივეს; მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც უნდა შემუშავდეს შესაფასებელ მოდულში მითითებული შეფასების მიმართულების შესაბამისად.
8. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტში უნდა იყოს მტკიცებულება პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის დადასტუდების/ვერ დადასტურების შესახებ.
9. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ ვალიდაციას ახდენს შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც ფორმირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
10. შეფასების პროცესამდე მინიმუმ 5 სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი შიდა ვერიფიკაციის ჯგუფს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარის შემოწმებას და ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით.
11. ვერიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტი წარწერით „შეთანხმებულია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფთან“ გამოიყენება პროფესიულ სტუდენტების შეფასების მიზნებისათვის.

12. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანამიმდევრულად შესრულება. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებას მთელ რიგ პრინციპებზე დაყრდნობით შეაფასებს მნიშვნელოვანია, რომ შეფასება ეფუძნებოდეს მტკიცებულებას, რომელიც უნდა იყოს ვალიდური, ტრანსფერული, ავთენტური, საკმარისი და მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან ხარისხის დონის შესაბამისი.

13. პროფესიულ სტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული მოდულების გავლის შემდეგ უტარდება განმავითარებელი შეფასება, რომლის შემდეგ გადადის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე თანამდებობრივი სარგოს 1/3 ანაზღაურებით;

14. განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროფესიული სტუდენტის განმავითარებელი შეფასების შედეგები და რეკომენდაციები თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, რომელსაც სავალდებულოა გაეცნოს პრაქტიკის ინსტრუქტორი.

15. პროფესიული სტუდენტი წარმოებაში გადის, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით;

16. პრაქტიკის თითოეული ინსტრუქტორი, რომელიც დანიშნულია სს ,,საქართველოს რკინიგზის“ დირექტორის ბრძანებით ხელმძღვანელობს არაუმეტეს 3 (სამი) სტუდენტს;

17. სამუშაოზე დაფუძნებული პრაქტიკული კომპონენტის ათვისების დროს პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი ცხრილის მიხედვით დროულად გამოცხადდეს წარმოებაში;

ბ) დაემორჩილოს წარმოების შინაგანაწესს და განუხრელად დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკის წესები;

გ) პრაქტიკის ინსტრუქტორის მითითების შესაბამისად შეასრულოს დავალებები სამუშაოების წარმოებისას;

დ) ყოველდღიურად აწარმოოს პრაქტიკის დღიური დადგენილი წესის შესაბამისად (დანართი №1)

18. პრაქტიკის ინსტრუქტორი ვალდებულია:

ა) წარმოებაში პროფესიული სტუდენტის მიღებამდე გაეცნოს მის პორტფოლიოს;

ბ) სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი ცხრილის მიხედვით მიიღოს წარმოებაში მასზე მიმაგრებული პროფესიული სტუდენტები;

გ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტებისთვის წარმოების შინაგანწესისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების გაცნობა;

დ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტებისთვის თითოეული დავალებისთვის დეტალური ინსტრუქციის მიცემა და მუდმივი მეთვალყურეობა მათ მიერ სამუშაოების წარმოებისას.

ე) ყოველდღიურად აწარმოოს დაკვირვების დღიურის შევსება თითოეული პროფესიული სტუდენტის მიღწევების/ნაკლოვანებების აღწერისთვის; (დანართი №2)

ვ) პროფესიული სტუდენტის მოდულით გათვალისწინებული თითოეული შედეგის დადასტურება ჩაატაროს თეორიული ნაწილის პედაგოგთან ერთად;

ზ) მოდულის დასრულების შემდეგ პრაქტიკის ინსტრუქტორმა და თეორიული ნაწილის პედაგოგმა უზრუნველყოს თითოეულ პროფესიულ სტუდენტთან ინდივიდუალური გასაუბრება მათი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ, რომელიც უნდა აისახოს ოქმში და ჩაიდოს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში;

19. პროფესიული სტუდენტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისების შემდეგ აბარებს საკვალიფიკაციო გამოცდას.

20. პროფესიული სტუდენტს აქვს შესაძლებლობა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბაროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისების შემმდეგ 10 დღის ვადაში ან 6 თვის წარმოებაში მუშაობის შემდეგ;

21. პროფესიული სტუდენტს, რომელიც აირჩევს 6 თვით წარმოებაში მუშაობის შემდეგ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას დაენიშნება თანამდებობრივი სარგო 2/3. ექვსი თვის შემდეგ მას დაენიშნება საკვალიფიკაციო გამოცდა, რომლის ჩაბარების შემდეგ სს ,,საქართველოს რკინიგზა“ დაასაქმებს სრულის ხელფასით.

22. 6 თვიანი პრაქტიკული გამოცდილების გარეშე პროფესიული სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში სს ,,საქართველოს რკინიგზა“ არ იღება ვალდებულებას დაასაქმოს იგი და მას ეძლევა შესაძლებლობა კომპანიაში ვაკანსიების შემთხვევაში მიიღოს კონკურსში მონაწილეობა დასაქმების მიზნით;

23. საკვალიფიკაციო გამოცდისთვის კომისია შედგება 5 წევრის შემადგენლობით. კომისიაში შედის სს საქართველოს რკინიგზის 2 წარმოამდგენელი (მათგან ერთი კომისიის თავჯდომარე) სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთი წარმომადგენელი; ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ადმინისტრაციის ერთი წარმომადგენელი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი;

24. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება ეფუძნება პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ შეფასების სტანდარტს;

25. პროფესიულ სტუდენტს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ ენიჭება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია;

26. პროფესიული სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის ვერ ჩაბარების/საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადების შემთხვევაში განმეორებით გამოცდაზე გამოსვლის უფლება მიეცემა პროფესიულ სტუდენტთა შემდეგი ნაკადის საკვალიფიკაციო გამოცდაზე;

დანართი 1

პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის დღიური

პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი:

მოდულის დასახელება:

შედეგი:

თარიღი:

პროფესიული სტუდენტის სამუშაოზე გამოცხადების დრო:

პროფესიულ სტუდენტს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი ჩამიტარდა: კი არა

შესრულებული სამუშაოს აღწერა:

სამუშაოს დასრულების დრო:

პრაქტიკის ინსტრუქტორის ხელმოწერა:

დანართი 2

პრაქტიკის ინსტრუქტორის პროფესიული სტუდენტის საქმიანობაზე დაკვირვების დღიური

პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი:

მოდულის დასახელება:

შედეგი:

თარიღი:

პროფესიული სტუდენტის სამუშაოზე გამოცხადების დრო:

პროფესიულ სტუდენტს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა: კი არა

უსაფრთხოების ინსტრუქტორის ხელმოწერა:

შესასრულებული სამუშაოს აღწერა:

სამუშაოს დასრულების დრო:

პრაქტიკის ინსტრუქტორის სახელი და გვარი:

ხელმოწერა:

თარიღი: